პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური
საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Министерства здравоохранения ГССР
и Грузинского Республиканского Совета
профсоюзов

კვირა
26 ივლისი
1953 წ.
№ 58 (657)
ფასი 30 კაპ.

გამოცემის მე-9 წელი

საბჭოთა სამშობლოს ფხიზელი გუშაგი

დღეს დიდების შარავანდედით მოსილი საბჭოთა დროშები აღიმართებიან საბჭოთა ხომალდებზე. სადღესასწაულო ზალპის მძლავრი ხმა გადაევლება ჩვენი ქვეყნის სივრცეებს. ფლოტებისა და ფლოტილიების ქვემეხები მთელ ჩვენს ქვეყანას ამცნობენ საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღესასწაულის დღეს.

საბჭოთა ხალხის დიდი სიყვარულითაა გარემოსილი უძლეველი საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტი და მამაცი მეზღვაურები, რომლებიც ღირსეულად განაგრძობენ რუსეთის ფლოტისა და რუსი მეზღვაურების სახელოვან ტრადიციებს. სამშობლოსათვის თავდადებულმა რუსმა მეზღვაურებმა ასახელეს ჩვენი ქვეყანა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებით. ბრწყინვალე სამხედრო გამარჯვებებით დიდება მოუპოვეს რუსეთის ფლოტს საქვეყნოდ სახელგანთქმულმა ადამიანებმა უშაკოვმა, ნახიმოვმა, კორნილოვმა, ძმებმა ლაზარევებმა და სხვებმა. საბჭოთა ხალხი დიდი სიყვარულით იგონებს ზამთრის სასახლის შტურმის მონაწილე კრეისერ „ავრორას" მეზღვაურებს. „ავრორას" მძლავრმა ზალპმა მთელ ქვეყანას ამცნო ახალი ეპოქის დაწყება.

სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცების წლებში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშობლიური ზრუნვის შედეგად კიდევ უფრო გაძლიერდა და განმტკიცდა საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტი. საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში ჩვენმა ფლოტმა არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა საზღვაო ისტორიაში. ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი საბჭოთა ხომალდები, მამაცი მეზღვაურები, პირნათლად იხდიდნენ რა ვალს ჩვენი სამშობლოს წინაშე, დაუნდობლად ანადგურებდნენ ჰიტლერული გერმანიის ხომალდებს, წყალქვეშა ნავებს. საბჭოთა საზღვაო ფლოტის ძალებმა ბრწყინვალედ შეასრულეს ასზე მეტი ურთულესი საზღვაო ოპერაცია.

პირსისხლიან ფაშიზმზე გამარჯვების შემდეგ ჩვენმა სამხედრო-საზღვაო ფლოტმა იმპერიალისტური იაპონიის საზღვაო ძალებთან ბრძოლაში კიდევ ერთხელ დაუმტკიცა მთელ მსოფლიოს თავისი უძლეველობა და დიდების შარავანდედით შემოსა თავისი დროშები.

სახელოვანმა კომუნისტურმა პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასა საბჭოთა მეზღვაურების უბადლო გმირობა დიდი სამამულო ომის ფრონტზე. ბევრ მათგანს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ხოლო ათასობით მეზღვაური დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. ჩვენი მთავრობისა და პარტიის მშობლიურ ზრუნვას საბჭოთა მეზღვაურები უპასუხებენ პოლიტიკური მომზადებისა და სამხედრო ოსტატობის დაუღალავი ამაღლებით, საბჭოთა სამშობლოს სამხედრო ძლიერების განმტკიცებისათვის თავდადებული შრომით.

ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა ხალხი განაგრძობს საბჭოთა არმიისა და ფლოტის ძლიერების განმტკიცებას, მისი ბრძოლისუნარიანობის ზრდას. საბჭოთა ადამიანები დიდი სიყვარულით აშენებენ რა სამხედრო-საზღვაო ფლოტს, მამაც მეზღვაურებს გადასცემენ ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილ ხომალდებს. ჩვენს ფლოტში გამოიწვრთნენ და მაღალ სამხედრო ოსტატობას ავლენენ საბჭოთა მეზღვაურების შესანიშნავი კადრები, საბჭოთა ქვეყნის მგზნებარე პატრიოტები, რომელთათვის ყველაზე მაღლა დგას კომუნიზმის მშენებელი ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის დაცვის ინტერესები.

საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს ჩვენი ქვეყნის მშრომელები აღნიშნავენ დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფრონტზე გმირული შრომით მოპოვებული წარმატებების ვითარებაში. ამას წინათ ჩატარებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლენუმის დადგენილებას, რომელშიც გამოაშკარავებული იყო გარეწარ ბერიას ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა, მთელი ჩვენი ხალხი მხურვალე მოწონებით შეხვდა. ხალხმრავალ კრებებზე საბჭოთა ადამიანებმა პირობა დადეს, რომ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მთელ ძალ-ღონეს მოახმარენ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცების, კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს.

ჩვენი სამშობლოს ფიზკულტურელები და სპორტსმენები საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ მიესალმებიან საყვარელი სამშობლოს საზღვაო სივრცეების ფხიზელ გუშაგებს— მამაც მეზღვაურებს, ჩვენს გემთმშენებლებს, კონსტრუქტორებსა და უსურვებენ მათ ახალ-ახალ წარმატებას მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების განუხრელად შესრულებაში.

დიდება საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

ვ. ჭყონიაური ა. ხაბურზანია
(სსრ კავშირის 1953 წლის ჩემპიონები ველოსპორტში.)

სსრ კავშირი—უნგრეთი

21 ივლისს მოსკოვის მახლობლად კურკინის გზატკეცილზე გაიმართა ამხანაგური შეჯიბრება ველორბოლაში სსრ კავშირისა და უნგრეთის უძლიერეს სპორტსმენთა შორის. შეჯიბრების ტრასაზე თავი მოიყარა მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა. მეგობართა ასპარეზობის სანახავად მოვიდნენ სპორტის მოყვარულები დედაქალაქიდან, ახლომდებარე რაიონებიდან.

რბოლის დისტანცია — 188,5 კილომეტრი — შეადგენდა 13 წრეს. რბოლის პირველი კილომეტრები დაზვერვას მოუნდა, შემდგომში კი დაწინაურდნენ საბჭოთა ველოსიპედისტები ვ. ვერშინინი და ე. ნემიტოვი. მალე მათ მიუახლოვდნენ რ. ჩიჟიკოვი, ე. კლევცოვი (სსრ კავშირი), ე. ჩიმორი, ა. ფარკაში (უნგრეთი).

მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა უკანასკნელ კილომეტრებზე. ველოსიპედისტები თავბრუდამხვევი სისწრაფით მიჰქროდნენ ფინიშისკენ. აიმსაჯებმა გამორთეს წამმზომები. პირველი ადგილი დაიკავა ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელმა კლევცოვმა. მისი დრო 5.21:22,5 (საშუალო სისწრაფე საათში — 35,4 კმ). 0,5 წამის შემდეგ ფინიშის ხაზი გადაჰკვეთა რ. ჩიჟიკოვმა. უნგრელი ველოსიპედისტის ა. ფარკაშის დრო 5.27:46,2. მან დაიკავა მესამე ადგილი.

ნორჩი პიონერის ტრეკზე სტუმრები და მასპინძლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სპრინტში და გამოდევნებით რბოლაში 4 კმ. საბჭოთა გუნდიდან ფინალში გავიდნენ ო. დადუნაშვილი, ლ. ციპურსკი, ლ. ხმელი და ვ. დიაკოვი, უნგრელთა მხრივ კი—ი. ფურმანი და მატი. გამარჯვება წილად ხვდა ციპურსკის.

4 კილომეტრიან რბოლაში გამოდევნებით ფინიშთან პირველი იყო სსრ კავშირის ჩემპიონი ო. ბორისოვი. მისი დრო 5:16,6.

განსაკუთრებით საინტერესო იყო გუნდური რბოლა 100 კილომეტრზე, რომელიც მინსკის გზატკეცილზე გაიმართა. საბჭოთა კავშირის გუნდმა (რ. ჩიჟიკოვი, ა. კოლესოვი, ე. ნემიტოვი, ვ. ვერშინინი, ე. კლევცოვი, ნ. მატვეევი) ახალი საკავშირო მიღწევით — 2.25:7,5 დაიკავა პირველი ადგილი.

ავიამოდელისტთა ახალი რეკორდები

სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო სპორტულმა კომისიამ საკავშირო რეკორდებად დაამტკიცა საბჭოთა სპორტსმენ-ავიამოდელისტთა ახალი მიღწევები.

8 ივნისს „მფრინავი ფრთის" ტიპის „1-ა" კლასის რეზინის ძრავიანი თვითმფრინავის მოდელმა, (კონსტრუქტორი ვ. კუმანინი) აჩვენა სიჩქარე სწორ ხაზზე 90 კმ. საათში. ეს შედეგი ძველ რეკორდს 33,750 კილომეტრით სჭარბობს.

ექვსი დღის შემდეგ იგივე ტიპის თვითმფრინავის მოდელმა, „1-ბ" კლასის მექანიკური ძრავით (კონსტრუქტორი ე. კუჩეროვი) განავითარა სიჩქარე სწორ ხაზზე 58,064 კილომეტრი საათში. ძველი რეკორდი გაუმჯობესებულია 8,414 კილომეტრით საათში.

ყველა საბუთი საბჭოთა სპორტსმენ-ავიამოდელისტთა რეკორდების შესახებ გაგზავნილია საერთაშორისო საავიაციო ფედერაციაში მსოფლიო რეკორდად დამტკიცებისათვის.

ბრძანება
სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1953 წ. 26 ივლისი № 56 ქ. მოსკოვი

ამხანაგო მატროსებო და ჯარისკაცებო, ზემდეგებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო, ადმირალებო და გენერლებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.

მოგესალმებით და გილოცავთ სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს და ვუსურვებ საბჭოთა სამხედრო მეზღვაურებს და გემთმშენებელი მრეწველობის მუშაკებს ახალ წარმატებებს საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ძალების შემდგომ განმტკიცებასა და მათი საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებაში.

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად —

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

დღეს, 1953 წლის 26 ივლისს, ფლოტებსა და ფლოტილიებში მიცემულ იქნას სამხედრო ხომალდებისა და სანაპირო ბატარიების სალუტი ოცდაერთი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხსა და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი

საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ა. ბულგანინი

საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

საერთაშორისო შეხვედრები ფეხბურთში

„დინამო" (მოსკოვი) — „იურგორდენი" (სტოკჰოლმი).

22 ივლისს მოსკოვში გაიმართა მეორე საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ შვეციის დედაქალაქის ერთერთი უძლიერესი გუნდი „იურგორდენი" და მოსკოვის „დინამო".

თამაში დაიწყო დინამოელთა შეტევით. პირველსავე წუთებში შვედების ცენტრალურმა მცველმა ივერგრენმა მოსკოველ რიჟკინთან ბრძოლაში ბურთი საკუთარ კარში გაიტანა. მოსკოველები სტუმრებს სჯობნიდნენ სისწრაფეში და ხშირად არღვევდნენ დამცველთა რიგებს, რომლებიც ზონური პრინციპით თამაშობდნენ.

33-ე წუთზე „დინამოს" მარცხენა გარემარბი ფომინი კარისკენ გაიჭრა და ჩააწოდა. მეკარე არვიდსონმა ბურთი მოიგერია, მაგრამ კორშუნოვმა მიუსწრო, ძლიერად დაარტყა და ანგარიში გახდა 2:0.

მეორე ტაიმის დასაწყისი სტუმრების აქტიური შეტევით აღინიშნა. მოსკოველებს რამდენიმე სახიფათო მომენტის მოგერიება მოუხდათ და უკვე მე-8 წუთზე თვითონ გამოჩნდნენ მოწინააღმდეგის კართან. ბუზუნოვმა კარგად შეარჩია ადგილი და შვედების კარში მესამე ბურთი გაგზავნა.

26-ე წუთზე „იურგორდენის" ცენტრალური თავდამსხმელი, შვეციის ნაკრები გუნდის მოთამაშე იუჰანსონი მოსკოველებმა თავის საჯარიმო მოედანზე აკრძალული ხერხით დააკავეს და ნახევარმცველმა სტენმანმა 11-მეტრიანი საჯარიმოდან ერთი ბურთი გაქვითა. რამდენიმე წუთის შემდეგ დინამოელთა მცველმა როდიონოვმა ივერგრენს მიჰბაძა და ბურთი საკუთარ კარში გაგზავნა.

თამაშის დამთავრებას 6 წუთი აკლდა, როცა სალნიკოვმა მოულოდნელი, ზუსტი დარტყმით მეოთხე ბურთი გაიტანა შვედების კარში.

მოსკოვის „დინამომ" საერთაშორისო შეხვედრა მოიგო ანგარიშით 4:2.

„სპარტაკი" (მოსკოვი)—„იურგორდენი" (სტოკჰოლმი).

შვეციის ფეხბურთელებმა გუშინ მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე ჩაატარეს მეორე საერთაშორისო შეხვედრა. მათ წინააღმდეგ თამაშობდა მოსკოვის „სპარტაკი".

თამაშის პირველ ნახევარში ანგარიში არ გახსნილა. ორივე გუნდის მცველებმა შესძლეს თავდამსხმელთა მძაფრი იერიშების მოგერიება.

მეორე ტაიმში მოსკოველმა ვ. ბობროვმა ზუსტი დარტყმით შესძლო ანგარიშის გახსნა. იგრძნეს რა დამარცხების საშიშროება, შვედებმა თამაშის დასასრულისათვის მოახერხეს საპასუხო ბურთის გატანა და მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

გემის მოდელები ზღვის ტალღებზე

ამ დღეებში ბათუმში ჩატარდა დოსააფის საზღვაო მოდელისტთა მეხუთე რესპუბლიკური შეჯიბრება.

ასპარეზობაში მონაწილეობდა უფროსი და უმცროსი ასაკის ჭაბუკთა და კონსტრუქტორ-მოდელისტთა 59 თვითნაკეთი გემი.

უმცროსი ასაკის მოდელისტებიდან იახტა „3" კლასის თვითნაკეთი გემიდან ყველას აჯობა 13 წლის ბათუმელ ვ. რაგოჟინის „გემმა", რომელმაც ყველაზე მაღალი შეფასება—19,4 ქულა დაიმსახურა. „ტრალშჩიკის" ტიპის მოდელებში გაიმარჯვა ვ. მალკინის (ბათუმი) ნამუშევარმა. თბილისელი კ. დანილოვის მოდელები „წყალქვეშა ნავი" და „სქემატური სასწრაფო" ყველაზე სწრაფად, სწორხაზოვნად მიცურავდნენ და პირველობა მოიპოვეს.

უფროსი ასაკის ჯგუფში ყველას აჯობა სუხუმელ ვ. მიხაილოვის „ნალმოსანმა", რომელმაც 34,8 ქულა დააგროვა, ბათუმელ ი. იაზეფოს საზღვაო სატვირთო გემმა გაიმარჯვა თავისი ტიპის მოდელებს შორის. სამდინარო საბუქსირო მოდელებიდან ყველას აჯობა თბილისელ ა. კუზნეცოვის ნამუშევარმა.

მოდელისტ-კონსტრუქტორების ნამუშევრებიდან აღსანიშნავია გენადი პანკრატოვიჩის (სუხუმი) თვითნაკეთი გემი „მძიმე კრეისერი", რომელსაც პირველი ადგილი მიეკუთვნა. რადიომართვის მოდელისათვის თბილისის ბავშვთა ცენტრალური სადგურის მოდელისტებმა კ. კახილაძემ და ა. ტიხონოვმა მაღალი შეფასება დაიმსახურეს. კარგი იყო გ. კაიშაურის (თბილისი) „კრეისერი" და მ. გობოაძის (სუხუმი) სატორპედო კატერი.

გუნდური პირველობა სამივე ჯგუფში მოიპოვეს თბილისელმა მოდელისტებმა.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობისათვის

ჩინეთის კომუნისტური პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას. ჩინელი ახალგაზრდები დიდი მონდომებით აბარებენ ნიშანზე „ფიზკულტურის კომპლექსის ნორმებზე“. მაგალითად, პეკინის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდების 90 პროცენტი ჩაბმულია კომპლექსის ნორმების ჩაბარებაში. ყველაზე მასობრივ სპორტად ჩინეთში ითვლება კალათბურთი. თითქმის ყველა სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელსა და წარმოება-დაწესებულებაში გატაცებით ეუფლებიან სპორტის ამ სახეობას. ჩუნცინის კალათბურთელთა 2.000 გუნდიდან ნახევარს შეადგენს მუშა-სპორტსმენების კოლექტივები.

ფართოდ განვითარდა ფიზკულტურა და სპორტი სოფლის მოსახლეობაში. მოწყობილია ათასობით სპორტული მოედანი, სადაც მრავალი ახალგაზრდა ეუფლება სპორტის ამა თუ იმ სახეობას. ჩეაოსიანის მაზრის დუნხუანის რაიონის ანხუეის პროვინციაში მოწყობილია კალათბურთის 125 მოედანი, რომელზედაც იწვრთნება 200 გუნდი.

ფიზკულტურული კადრების სწრაფი ზრდა საშუალებას იძლევა ხშირად მოეწყოს სხვადასხვა საინტერესო შეჯიბრებები.

1951 წლის მაისიდან 1953 აპრილამდე ჩატარდა 9 რესპუბლიკური ასპარეზობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ფიზკულტურა და სპორტი ჩინელი ახალგაზრდების საყვარელი საქმიანობა გახდა. ამიტომაა, რომ აქ სწრაფი ტემპით შენდება ახალი სტადიონები, სპორტული მოედნები, საცურაო აუზები და სხვ. ჩინელი ახალგაზრდები დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ პარტიისა და მთავრობის მიმართ, რომლებიც ყოველდღიურად ზრუნავენ მათი ფიზიკური გაჯანსაღებისათვის.

სპორტული კლასიფიკაცია

რუმინელ სპორტსმენთა მზარდმა სპორტულმა ოსტატობამ საჭირო გახადა სპორტის სხვადასხვა სახეობაში ახალი კლასიფიკაციის შემოღება, რომელიც ძალაში შევიდა 15 მაისიდან. ძველი კლასიფიკაციით ნებისმიერი სტილით 100 მეტრზე ცურვაში ნორმა იყო 1 წუთი, ამჟამად კი 58,5 წამია. 100 მეტრზე რბენაში ქალთა შორის ოსტატის ნორმა იყო 12,5 წამი, ამჟამად კი 12,0 წამია.

დიდი ცვლილებებია აგრეთვე სპორტის სხვა სახეობებში.

ახალი რეკორდები

ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში მოეწყო ადგილობრივი და ბულგარელი მძლეოსნების შეხვედრა. ცუდი ამინდის მიუხედავად ევროპის და ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონმა ბირთვის კვრაში ირჟი სკობლამ დაამყარა ევროპისა და ჩეხოსლოვაკიის რეკორდი. მის მიერ ნასროლი ბირთვი 17 მეტრსა და 31 სანტიმეტრზე დაეცა. შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია XV ოლიმპიურ თამაშობათა ჩემპიონი დანა ზატოპკოვა. ამ შეხვედრაში მან შუბი ტყორცნა 52 მეტრსა და 02 სანტიმეტრზე, რითაც დაამყარა თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი.

მსოფლიო რეკორდსმენმა 1.000 მეტრზე რბენაში სტანისლავ იუნგვირტმა გაიმარჯვა 800 მეტრზე შეჯიბრებაში. მისი შედეგია 1.50,1.

ორი ქვეყნის მძლეოსანთა შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

შეჯიბრებამ, რომელსაც 50 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

მშვიდობისა და მეგობრობის ფესტივალი

მთელი მსოფლიოს პროგრესული ახალგაზრდობა ემზადება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV მსოფლიო ფესტივალისათვის, რომელიც რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში ჩატარდება. ფესტივალის მომწყობ საერთაშორისო კომიტეტს მონაწილეობის სურვილი განუცხადა 43 ქვეყნის სპორტულმა კოლექტივმა. ისინი ერთმანეთს შეეჯიბრებიან სპორტის 19 სახეობაში. მძლეოსნობაში მონაწილეობას მიიღებს 28 ქვეყნის წარმომადგენელი. ველორბოლაში პირველობას ერთმანეთს შეეცილებიან 20 ქვეყნის საუკეთესო ველოსიპედისტები. მათ შორის იქნება დანიის გუნდი, რომელშიც მონაწილეობს 1953 წლის მშვიდობის ველორბოლაში — პრაღა-ბერლინი-ვარშავა — გამარჯვებული პედერსენი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა ამ მრავალდღიან შეჯიბრებაში. მოჭიდავეთა ასპარეზობაში მონაწილეობენ 18 ქვეყნის სპორტსმენები.

17 ქვეყნის უძლიერესი მოცურავეები საწყლოსნო ბილიკებზე იბრძოლებენ ფესტივალის ოქროს მედლისათვის. მათ რიცხვში იქნებიან უნგრეთის გამოჩენილი მოცურავეები, ოლიმპიური ჩემპიონები სეკეი და სეკე, მსოფლიო რეკორდსმენი ტულუპეკი, ჩემპიონი ირინა ზარბაფი, ინდონეზიის ჩემპიონი სუხარკო და სხვ. ფესტივალში საფრანგეთიდან მონაწილეობს 700, გერმანიიდან — 300, უნგრეთიდან — 200, ფინეთიდან — 130, ლივანიდან — 100, ბელგიიდან — 70 სპორტსმენი.

მოსკოვში ჩამოვიდნენ ფესტივალის მონაწილე ახალგაზრდები ჩინეთიდან, კორეადან, ვიეტნამიდან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან. მოსკოველი ახალგაზრდები გულთბილად შეხვდნენ მოძმე ერების ახალგაზრდობის წარმომადგენლებს—მუსიკოსებს, მხატვრული სიტყვის ოსტატებს, მომღერლებსა და სპორტსმენებს.

იაროსლავლის სადგურზე სახელდახელოდ გამართულ მიტინგზე კორეის დელეგაციის წარმომადგენელმა ჰუ კუ ენმა გულთბილი სიტყვა დაამთავრა შეძახილით: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯს!“ სტუმრები მოსკოვის ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერების, ძირეული ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტული საზოგადოებების მუშაობის გაცნობის შემდეგ ბუქარესტს გაემგზავრებიან.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს რუმინეთში. აქ რუმინეთის ახალგაზრდული ორგანიზაციები ყველაფერს აკეთებენ, რათა ღირსეული შეხვედრა მოუწყონ ფესტივალის მონაწილეებს. მზად არის სტადიონი, სპორტული დარბაზები, ღია ესტრადები, თეატრები, კინოთეატრები. მრავალი მათგანი ფესტივალისათვის მზადების დღეებში საფუძვლიანად შეაკეთეს.


IV ВСЕМИРНЫЙ ФЕСТИВАЛЬ МОЛОДЕЖИ И СТУДЕНТОВ ЗА МИР И ДРУЖБУ
БУХАРЕСТ 1953

15 ივლისს ვარშავის დიდ სპორტულ დარბაზში შედგა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა პოლონეთის დედაქალაქში მშვიდობის ამანათრბენის მონაწილეების ჩასვლას. მშვიდობის საერთაშორისო ამანათრბენის მონაწილეებს მიაქვთ მისალმება შვეციის, დანიის, ნორვეგიის, ფინეთის, ჰოლანდიის, გერმანიისა და პოლონეთის ახალგაზრდებისაგან.

ამას წინათ ბუქარესტში ჩავიდა საფრანგეთის ტანვარჯიშის მუშათა ფედერაციის მდივანი რ. გატენო. მან კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა:

— საფრანგეთის ახალგაზრდებმა ფესტივალისათვის მზადება ჯერ კიდევ მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაიწყეს. დიდი წარმატებით ჩატარდა ჩვენი ფედერაციის მიერ პარიზში მოწყობილი საერთაშორისო შეჯიბრებები. ფესტივალთან დაკავშირებით მოწყობილ სხვადასხვა ღონისძიებაში 15 ათასამდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

ფედერაცია ბუქარესტში აგზავნის 200 სპორტსმენს. აქედან 17 მძლეოსანს, 26 კალათბურთელს, 11 მოკრივეს, 11 ველოსიპედისტს, 15 ფეხბურთელს, 15 მოცურავეს, ვაჟთა და ქალთა ფრენბურთელთა გუნდებს და სხვ. ფედერაციის სპორტსმენთა გარდა ფესტივალზე ჩამოვა 500 ახალგაზრდა, საფრანგეთის ჩემპიონი ხელბურთში „ბილებომბლის“ გუნდი და მონპელეს უნივერსიტეტის ფრენბურთელთა გუნდი, რომელიც მიმდინარე წლის საფრანგეთის ჩემპიონია.

— რასაკვირველია, — თქვა დასასრულ გატენომ, — ფინანსური დაბრკოლებები რომ არ გვიშლიდეს ხელს, ჩვენი დელეგაცია უფრო მრავალრიცხოვანი იქნებოდა.

ბერლინის დემოკრატიულ პრესაში გამოქვეყნდა ფესტივალისათვის მზადების გარშემო მიუნხენში ჩატარებული პრეს-კონფერენციის შედეგები. როგორც ცნობაშია აღნიშნული, ფესტივალისათვის მზადების კომიტეტის საპატიო თავმჯდომარემ დოქტორმა გუგო ეკენერმა თავის განცხადებაში მხარი დაუჭირა მსოფლიო ფესტივალის მოწყობის იდეას და განაცხადა, რომ სპორტულ შეჯიბრებებს და ახალგაზრდა ხელოვანთა შეხვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს მათი შემდგომი პოლიტიკური განვითარებისათვის. პრეს-კონფერენციაზე გამოირკვა, რომ დასავლეთ გერმანიის 132 ათასმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა მისალმება გაუგზავნა ფესტივალის მონაწილეებს. ცნობაში ნათქვამია აგრეთვე, რომ დასავლეთ გერმანიის დელეგაციაში მონაწილეობენ სხვადასხვა მსოფლმხედველობის ახალგაზრდული ორგანიზაციები.

ამას წინათ ბუქარესტის გაზეთებმა დაბეჭდეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარის ფრედერიკ ჟოლიო-კიურის მიმართვა ახალგაზრდებისა და სტუდენტთა მშვიდობისა და მეგობრობის მეოთხე მსოფლიო ფესტივალის მონაწილეებისადმი.

მიმართვაში ნათქვამია: „როდესაც თქვენ ერთმანეთს გაუზიარებთ თქვენ იდეებსა და გამოცდილებას, როდესაც თქვენი სპორტული და კულტურული კოლექტივები ერთმანეთს შეხვდებიან შეჯიბრებებში, თქვენ კაცობრიობას მისცემთ უფრო მეტს, ვიდრე უბრალო იმედებს, თქვენ მისცემთ ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის დიდ მაგალითს, თქვენი მეშვეობით ორი კვირის განმავლობაში ლამაზი ქალაქი გადაიქცევა ახალგაზრდობის, მეგობრობისა და მშვიდობის დედაქალაქად.

როცა თქვენ დაბრუნდებით სახლებში, თქვენ ხალხთან, განაგრძეთ მშვიდობის დაცვის იდეისათვის ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლა...“

კიდევ რამდენიმე დღე და მსოფლიოს ყველა კუთხიდან ბუქარესტისაკენ გაეშურებიან ახალგაზრდობის დელეგაციები. მათთან ერთად იქნებიან ჩვენი საყვარელი სამშობლოს მოწინავე ახალგაზრდები — მომღერლები, მუსიკოსები, ბალეტისა და დრამის მსახიობები, სპორტსმენები.

ფესტივალზე მსოფლიოს ახალგაზრდები ერთმანეთს შეჰფიცავენ, რომ დაუღალავად იბრძოლებენ მშვიდობის დიადი საქმის გამარჯვებისათვის.

მკითხველთა სიგნალები

ძალოსნები არ მეცადინეობენ

ადიგენის რაიონის ძალოსნებმა უკანასკნელი წლის მანძილზე გარკვეული წარმატებები მოიპოვეს. რაიონის წარმომადგენლებმა სხვადასხვა შეჯიბრებაში მოიპოვეს როგორც გუნდური, ისე პირადი საპრიზო ადგილები.

მაგრამ ბოლო ხანებში ნიჭიერ სპორტსმენთა მეცადინეობა შეწყდა, არ არის მწვრთნელი, არ წარმოებს ვარჯიშები.

ფიზკულტურისა და სპორტის ადიგენის რაიონულმა კომიტეტმა ეს ჩამორჩენა დაუყოვნებლივ უნდა გამოასწოროს.

ნ. მამულაშვილი,
მეორეთანრიგოსანი ძალოსანი.

დუმილი... დახმარების ნაცვლად

სოფელ კორცხელის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში ბევრია სპორტით დაინტერესებული ახალგაზრდა. მათ დიდი სურვილი აქვთ თავისუფალ დროს იმეცადინონ სპორტულ სექციებში. მაგრამ, სამწუხაროდ, ამაში მათ ხელი ეშლებათ კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების მოუქნელი მუშაობის, სპორტული ბაზებისა და ინვენტარის უქონლობის გამო. კოლმეურნეობის გამგეობასა და „კოლმეურნის“ ზუგდიდის რაისაბჭოს რატომღაც არ აწუხებთ შექმნილი მდგომარეობა, ახალგაზრდობის რამდენიმე მიმართვას დუმილით უპასუხეს.

ზ. ალშიბაია

პირველი შეხვედრები

სამტრედიის რაიონის სოფელ ჭოგნარის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნე ფიზკულტურელებს დიდი ხანია მონაწილეობა არ მიუღიათ შიდასაკოლექტივო თუ სარაიონო მასშტაბის შეჯიბრებებში, რადგან ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო დაუდევრობას იჩენდა. ახალგაზრდების ინიციატივით მოიწვიეს ფიზკულტურელთა საერთო კრება, აირჩიეს საბჭოს ახალი შემადგენლობა და თავმჯდომარის შ. კანდელაკის ხელმძღვანელობით მუშაობა გამოცოცხლდა. შეძენილია 3.000 მანეთის სპორტ-ინვენტარი, მოეწყო ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნები. მუშაობა გააჩაღეს სექციებმა. ახალ მოედანზე უკვე გაიმართა რაიონის კოლმეურნე ფიზკულტურელთა პირველი შეხვედრები.

თავმჯდომარეს სპორტი არ უყვარს

ნორჩი სპორტსმენები 2 მაისს მოუთმენლად ელოდნენ, რადგან ამ დღეს სოფელ ოტობაიაში დანიშნული იყო ამ ზონის მოსწავლეთა სპარტაკიადა.

გათენდა ნანატრი დღე. მოსწავლეები შეიკრიბნენ სკოლის ეზოში. ისინი მალ-მალე იყურებოდნენ გზისაკენ, სტუმრებს გულისფანცქალით ელოდნენ. გზაზე მტვერი ავარდა.

— მოდიან! — დაიძახა ვიღაცამ.

მაგრამ სპარტაკიადის მონაწილეთა ნაცვლად სკოლის ეზოში ბედაური შემოაგელვა ამ სოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ტ. ბახტაძემ.

— რა ამბავია, რა ყრილობაა? — გულმოსულად იკითხა თავმჯდომარემ.

სკოლის დირექტორმა აუხსნა, რომ სოფელში ზონალური სპარტაკიადა ტარდება და სხვა სოფლის მოსწავლეებიც ჩამოვლენ.

— სპარტაკიადა? ეგ მე არ ვიცი! რა დროს სპორტია! ყველანი მინდორში, იქ გაავარჯიშეთ კუნთები! — ბრძანა მრისხანე თავმჯდომარემ და შემდეგ სკოლის დირექტორს მოუბრუნდა — არავინ მოუშვა აქ, გესმის? არავინ!

სპარტაკიადა ჩაიშალა. მხოლოდ ზემდგომი ორგანოების ჩარევით მეორე კვირას ჩატარდა ასპარეზობა, მაგრამ უხალისოდ, მოუმზადებლად.

ეს ერთი მაგალითია მრავალთაგან, რომელსაც სისტემატური ხასიათი აქვს გალის რაიონში. ამას წინათ სოფელ რეჩხიცხირის ა. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობიდან საოლქო შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის მოჭიდავეები უნდა გაეგზავნათ. თავმჯდომარის მოადგილემ რ. ლაგვილავამ ბრძანა — ფეხი არ მოეცვალოთ სოფლიდან! სპორტსმენები ეხვეწებოდნენ, ემუდარებოდნენ, მაგრამ გული ვერ მოულბეს.

ეს ფაქტები ნათლად მეტყველებენ მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის აშკარა შეუფასებლობაზე. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების ერთ ნაწილში პატივისცემით არ სარგებლობს სპორტი. ხშირად ისინი შეგნებულად უშლიან ხელს ფიზკულტურის განვითარებას. სოფელ საბერიოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას ერთადერთი ფეხბურთის მოედანი გააჩნდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბ. მარხულიამ, არ გაუწია ანგარიში კოლმეურნე ფიზკულტურელთა სურვილს, მოედნის ნახევარი სამოსახლოდ გასცა. კოლმეურნეობას ჰყავს სპორტული ცხენი, რომელსაც არავინ უვლის. ფიზკულტურის ძირეული საბჭოს თავმჯდომარის ვ. გაბისონიას უდარდელობით ამ სოფელში ჩაშლილია ყოველგვარი მუშაობა.

სოფელ გაგიდის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივს (თავმჯდომარე დ. ჰანია) დღემდე სამუშაო გეგმაც კი არ გააჩნია

ანალოგიური მდგომარეობაა ქვემო ბარღების, ფიჩორის, გუდავის, წარჩის კოლმეურნეობებში. შარშან ოტობაიას კოლმეურნეობის მძლეოსნებმა აფხაზეთის საოლქო ასპარეზობაში პირველი ადგილი მოიპოვეს. ა. ზანთარაია და სხვები რაიონში საუკეთესო მძლეოსნებად ითვლებიან. კოლმეურნეობის ლელობურთელებიც კარგ სპორტულ მონაცემებს ავლენენ, მაგრამ ახალგაზრდობის დაოსტატებისათვის არც ადგილზე და არც რაიონის ცენტრში არავინ იწუხებს თავს.

ფიზკულტურის ძირეული კოლექტივები მოკლებული არიან კონკრეტულ ხელმძღვანელობას და დახმარებას სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რაიონულ საბჭოდან (თავმჯდომარე ლ. შენგელია), რომელიც ამ მხრივ სრულ უდარდელობას იჩენს. ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის მოუქნელი მუშაობის შედეგად რაიონში არ შეუსრულებიათ თანრიგოსანთა, ნიშნოსანთა და ფიზკულტურული კადრების მომზადების გეგმა. რაიონის ცენტრში მოწყობილი იპოდრომი პირუტყვისა და ფრინველის სათარეშოდ არის გადაქცეული. მას ღობე კარგა ხანია შემოენგრა.

გ. ოქრუაშვილი,
„ლელოს“ სპეც. კორესპონდენტი

• • •



სურათზე: გალის იპოდრომი და მისი ბინადარნი.

დინამოელთა ასპარეზობა



ჩემპიონატის სამი კალენდარული დღის შემდეგ წინ იყვნენ კიევის ქალთა და თბილისისა და ტალინის კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივები, რომლებსაც არ ჰქონდათ არცერთი წაგება.

გათამაშების მეოთხე დღე აღინიშნა დაძაბული ბრძოლებით. ლენინგრადის ვაჟთა გუნდი შეხვდა რიგის სპორტსმენებს. თამაში ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა ლენინგრადელთა მინიმალური უპირატესობით — 49.48. მოსკოვის ქალთა გუნდმა ადვილად მოუგო ყაზანის კალათბურთელებს — 54:31. სვერდლოვსკის კალათბურთელ ქალთა კოლექტივმა ენერგიულად ჩაატარა შეხვედრა ლენინგრადელთა წინააღმდეგ და გაიმარჯვა ანგარიშით 46:35.

ამ გათამაშებაში კიევის ქალთა გუნდი უდაოდ უძლიერესია. უკრაინელ სპორტსმენებს ახასიათებთ სწრაფი, ტემპიანი თამაში და კარგად დამუშავებული ტყორცნები. მათ ჩვეული ოსტატობით ჩაატარეს შეხვედრა რიგის კოლექტივთან და მოიპოვეს გამარჯვება — 66:29. ამ მოგებით კიევის გუნდმა კიდევ უფრო განიმტკიცა მდგომარეობა სატურნირო ცხრილში. დღითიდღე აუმჯობესებს თამაშს კიშინიოვის კალათბურთელ ქალთა ახალგაზრდული კოლექტივი. ამ დღეს მათ დაამარცხეს ბაქოს ძლიერი გუნდი — 53:48.

კიევის ვაჟთა გუნდმა თბილისელი მაყურებლის სიმპათია დაიმსახურა. სპორტის მოყვარულებს მოსწონთ კიეველთა ტემპიანი თამაში. კიევის გუნდმა მატჩი თბილისელთა წინააღმდეგ ენერგიულად დაიწყო. აბაშიძისა და ქლენტის ტყორცნებს ოსტატურად უპასუხეს ჩერტოვმა და კუროვსკიმ. პირველი ნახევარი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 42:27. მატჩის მეორე ნახევარში თბილისელები მთლიანად დაეპატრონნენ მოედანს. საბოლოო ანგარიშია 93·43 თბილისის გუნდის სასარგებლოდ.

საპრიზო ადგილების გასანაწილებლად ტალინისა და მოსკოვის ვაჟთა გუნდების შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გუნდები მოედანზე გამოვიდნენ ასეთი შემადგენლობით: მოსკოვი — ფედოტოვი, ტორბანი, ბაიკოვი, სტუდენეცკი, სილინი; ტალინი — კივეტი, ლავროვი, სეპიკი, იუკსვიარავსი, მუტიკასი. ანგარიში კალათში ლამაზი ტყორცნით გახსნა სილინმა, მაგრამ კივეტმა ჯარიმით გაათანაბრა იგი. წინ კვლავ მოსკოველები გავიდნენ, რომლებმაც ანგარიშში 4 ქულით განსხვავება შეინარჩუნეს პირველი ნახევრის დამთავრებამდე. თითქმის მთელი მეორე ნახევარი ანგარიში მოსკოვის გუნდს მიჰყავდა, მაგრამ უკანასკნელ წამებში ტალინმა შესძლო თამაშის გათანაბრება. ძირითადი დრო ამოიწურა — 42:42. გამარჯვებულის გამოსავლინებლად დაინიშნა დამატებითი დრო — 5 წუთი. ცენტრში აგდებულ ბურთს მოსკოვის გუნდი შეუცდომლად იღებდა და მას უკანასკნელ წამამდე ათამაშებდა. საფინალო სასტვენამდე 10-15 წამით ადრე, მოსკოველები იღებდნენ წუთშესვენებას და რამდენიმე გადაცემის შემდეგ ბურთს ტყორცნიდნენ კალათში. მაგრამ ზედმეტი ნერვიულობის გამო მათი ტყორცნები არ იყო ზუსტი. მსაჯთა კოლეგიას ოთხჯერ მოუხდა დამატებითი დროის დანიშვნა, მაგრამ ანგარიში 44:44 არ შეცვლილა.

ამ გუნდების ხელახალი შეხვედრა დაინიშნა მეორე დღეს. ამჯერად მოსკოვის კალათბურთელებმა მოიპოვეს დამსახურებული გამარჯვება — 47:44.

გათამაშების მეხუთე ტური ყოველგვარი მოულოდნელობის გარეშე ჩატარდა. უფერულად მიმდინარეობდა ლენინგრადისა და რიგის ქალთა გუნდების შეხვედრის პირველი ნახევარი. ანგარიშით 18:15 ლენინგრადის სასარგებლოდ წავიდნენ გუნდები შესვენებაზე. მეორე ნახევარში თამაში შედარებით გამოცოცხლდა. ლენინგრადის წარმომადგენლებმა მოიპოვეს დამსახურებული გამარჯვება — 39:26. კიშინიოვის ქალთა გუნდი დამარცხდა ყაზანის კალათბურთელებთან შეხვედრაში — 25:32.

ტალინისა და რიგის ვაჟთა გუნდების შეხვედრა მუდამ უტემპო, ნელი თამაშით ხასიათდება. ამჯერადაც ეს ასე მოხდა. ანგარიში თავიდან რიგელებმა წაიყვანეს. მაგრამ ტალინის წარმომადგენლებმა შეძლეს თამაშის გათანაბრება და გაასწრეს კიდეც მოწინააღმდეგეს. თანდათან აშკარა გახდა ტალინელთა უპირატესობა. გუნდში ენერგიული, აქტიური თამაშით გამოირჩეოდნენ სეპიკი, ლავროვი, განსაკუთრებით კი კივეტი. შეხვედრა დამთავრდა ტალინის სპორტსმენთა გამარჯვებით 41.28.

კიევის ქალთა გუნდთან წაგების შემდეგ, მოსკოველმა კალათბურთელებმა შეხვედრა შეხვედრაზე მოიგეს. მორიგი კალენდარული მატჩი მოსკოველებმა მოუგეს სვერდლოვსკის გუნდს 63:22. კიევის ქალთა გუნდმა დაამარცხა ბაქოელი სპორტსმენები — 58:41, ხოლო კიევის კალათბურთელთა კოლექტივმა სარატოვის წარმომადგენლები — 77:75.

ვაჟთა გუნდებში ამ დღეს მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყო თბილისისა და ლენინგრადის კალათბურთელთა შეხვედრა. თბილისელებმა მატჩი უაღრესად მაღალ ტემპში დაიწყეს. ინწკირველი, ქლენტი და უგრიხოვი სწრაფი, თავბრუდამხვევი გარღვევებით ავიწროვებენ მოწინააღმდეგეს. ანგარიში სწრაფად იზრდებოდა თბილისელთა სასარგებლოდ. ლენინგრადის სპორტსმენები ვერ ახერხებენ თბილისელთა იერიშების უვნებელყოფას. პირველი ნახევარი დამთავრდა 42:21 თბილისის სასარგებლოდ. მეორე ნახევარში აშკარა უპირატესობა კვლავ თბილისელთა მხარეზე იყო. შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 84:61.

გუშინდელი შეხვედრების ტექნიკური შედეგები ასეთია: ქალები—კიშინიოვი—სვერდლოვსკი—54:42; ყაზანი—ბაქო—39:37; მოსკოვი—რიგა — 67:24; ვაჟები: თბილისი—ტალინი 74·54; მოსკოვი—სარატოვი — 81:56; რიგა—ბაქო—64:54; ლენინგრადი — კიევი — 73:39.

დღეს „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშების უკანასკნელი დღეა.

ნ. გუგუშვილი

* * *

სურათებზე: (ზევით) თბილისელი ბახტურიძე უტევს კიეველთა ფარს. (ქვემოთ) კიშინიოვისა და ლენინგრადის გუნდების შეხვედრა. კიშინიოველი სოროკინა დრიბლინგით უახლოვდება ლენინგრადელთა ფარს.

ფოტო მ. ზარეკიძისა

ალპური კედლები

მთასვლელები მწვერვალებს ახასიათებენ მათზე ასვლის სიძნელის მიხედვით. არსებობს ძნელად და ადვილად ასასვლელი მწვერვალები. ყველასათვის ცნობილი მყინვარწვერი მიეკუთვნება ადვილად ასასვლელ მწვერვალთა რიცხვს, რადგან მისი დაპყრობა არ მოითხოვს რთული ტექნიკური ხერხების გამოყენებას, ხოლო დიხ-თაუ, მიჟირგი და უშბა ითვლებიან ძნელად მისადგომ მწვერვალებად. მაგრამ მწვერვალზე ასვლა შესაძლებელია რამდენიმე მხრიდან და ყოველი ასეთი „გზა" სხვადასხვა სიძნელისაა. როდესაც ლაპარაკობენ „ძნელი" და „ადვილი" მწვერვალების შესახებ, მაშინ იგულისხმება ამ მწვერვალებზე ასასვლელი უადვილესი გზები. დიხ-თაუ ძნელად ასასვლელი მწვერვალია მისი უადვილესი გზითაც კი, ხოლო, როდესაც ვლაპარაკობთ ადვილად ასასვლელი მწვერვალის შესახებ, უნდა ვიცოდეთ, რომ იქაც მოიძებნება ისეთი გზა, რომლითაც მწვერვალზე ასვლა ურთულესი ამოცანა იქნება. მაგალითად, მყინვარწვერის აღმოსავლეთისაკენ მოქცეული „გველეშაპის კლდის" მხრიდან წასულ მთასვლელს მოუწევს დიდი სიძნელეების გადალახვა.

მწვერვალზე ასასვლელი გზის სირთულე დამოკიდებულია მრავალ ელემენტზე. მაგრამ მათ შორის გადამწყვეტი მაინც გზის საერთო დაქანებაა. ამიტომაა, რომ უადვილესი გზები, როგორც წესი, მიჰყვებიან ან ნაკლებად დაქანებულ ფერდობებს ან თხემებს. თითქმის ყოველ მწვერვალს ერთი ან რამდენიმე მხრით აქვს დიდი დაქანების, ხშირად თითქმის ვერტიკალური ფერდობი, რომელსაც მთასვლელები კედელს უწოდებენ.

ალპინიზმის განვითარების პირველ წლებში, როდესაც კავკასიონის მწვერვალები ჯერ კიდევ დაუძლეველი იყვნენ, მთასვლელები ეძებდნენ მწვერვალზე ასასვლელ უადვილეს გზებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც თითქმის ყველა მწვერვალი საბჭოთა მთასვლელებმა დაიმორჩილეს, მათ დაიწყეს მწვერვალთა გადავლების (ტრავერსების) განხორციელება და მწვერვალისაკენ ახალი, გაძნელებული გზების ძებნა. მაგალითად, უშბა 1937 წლისათვის დამორჩილებული იყო ჩრდილოეთის თხემით, სამხრეთისა და გულის ყინვარის მხრით. ასეთ პირობებში გაბრიელ ხერგიანის ჯგუფმა უშბაზე ასასვლელად აირჩია ზემოდასახელებულ გზებზე უფრო ძნელი გზა კონტრფორსით, რომელიც სამხრეთ უშბის მწვერვალიდან აღმოსავლეთისაკენ ეშვება.

საბჭოთა ალპინიზმის ზრდასთან ერთად გაიზარდა, სრულყოფილი გახდა საბჭოთა მთასვლელთა ტექნიკა, დაგროვდა უმდიდრესი გამოცდილება, რამაც მწვერვალზე უძნელესი გზებით — კედლებით ასვლის ყველა პირობა შექმნა. ასეთი ასვლები სამართლიანად ითვლება უმაღლესი ტექნიკური კლასის ასვლებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედლებზე ასვლებს, გარდა იმისა, რომ აქ საჭიროა ალპინიზმის უმაღლესი ტექნიკის გამოყენება, ახასიათებს მთელი რიგი თავისებურებანი. თუ ჩვეულებრივი ასვლის ან ურთულესი ტრავერსის დროს მთასვლელებს თან მიაქვთ მრავალი დღის საგზალი, საძილე ტომრები, კარვები და გზაზე დასვენების ან ავდარისაგან თავის შეფარების საშუალება აქვთ, კედლებზე ასვლის დროს მძიმე ზურგჩანთის წაღება შეუძლებელია. ამიტომ მთასვლელებს ასეთ შემთხვევაში შეუძლიათ წაიღონ მხოლოდ 3-4 დღის საგზალი. კედლებზე მეტად დიდია ქვათაცვენისა და ზვავების საშიშროება, ამიტომ ასეთ პირობებში მძიმე ზურგჩანთა მთასვლელს უკარგავს სწრაფად გადაადგილების საშუალებას, რათა თავი აარიდოს ქვათაცვენას ან შეიკავოს თავი ზვავის შემთხვევაში.

კედლებზე, როგორც წესი, არ არის ადგილი არა თუ კარვის გასაშლელად, არამედ წამოსაწოლადაც კი. ამიტომ ზედმეტია კარვისა და საძილე ტომრის წაღება. კედლებზე მთასვლელები ღამეს ათევენ, უკეთეს შემთხვევაში, ნახევრადწამოწოლილ მდგომარეობაში, მაგრამ ხანდახან ღამისთევა უხდებათ ფეხზე დგომელა ან ვიწრო ყათარზე წამომჯდარებს და უფსკრულისაკენ ფეხებჩაშვებულებს. ასეთ შემთხვევაში საჭირო ხდება ტანის კლდეზე მიბმა თოკისა და პალოების საშუალებით.

კედლის იერიშის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ამინდს. მცირე ავდარშიაც კი, როდესაც ჩვეულებრივი გზებით ასვლების დროს მოძრაობა შესაძლებელია, კედელზე გადაადგილება შეუძლებელი ხდება. რამდენადაც მთაში ავდარი ხშირია, იმდენად კედელზე ასვლის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოძრაობის ტემპს, რომელსაც შესაძლებელია სხვა კლასის ასვლებში (მრავალდღიანი ტრავერსების გარდა) არ ჰქონდეს ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან გზაზე ერთი საათის დაყოვნებაც კი გადაწყვეტს კედლის დაძლევის წარმატების ბედს.

კედლების დაძლევაში საბჭოთა მთასვლელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ასეთ ასვლათა შორის აღსანიშნავია ალ. მალეინოვის ჯგუფის მიერ უშბაზე ჩრდილო-დასავლეთის კედლით ასვლა, ვიტალი აბალაკოვის ჯგუფის მიერ ქანჯახისა და ულუ-თაუჩანას ჩრდილო კედლების დაძლევა და ბ. გარფის ჯგუფის ჩათინ-თაუს კედელზე ასვლა.

ო. გიგინეიშვილი

კარგი ტრადიციები დაივიწყეს

ოთახის წინ, სადაც კომკავშირის კომიტეტია მოთავსებული, ორი ახალგაზრდა შეჩერდა.

— შევიდეთ ვასია! ერთხელ კიდევ შევახსენოთ ჩვენი კომიტეტის მდივანს, რომ კომბინატში ჩაშლილია ფიზკულტურული მუშაობა.

— განა ორი კვირის წინ არ იყო ამხანაგი პანოვი ამ საკითხის შესახებ მდივანთან? ხომ ხედავ არაფერი გამოდის, — უპასუხა მეორემ.

თბილისის წისქვილკომბინატის კომკავშირული ორგანიზაცია და მისი მდივანი ე. მაჩნევა ჩაშლილი ფიზკულტურული მუშაობის გამოსასწორებლად მხოლოდ კომიტეტის სხდომაზე მიღებული დადგენილებით კმაყოფილდება და ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივს არავითარ პრაქტიკულ დახმარებას არ უწევს. ძირეული საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ქურავლიოვს კი უნარი არ შესწევს დამოუკიდებლად წარუძღვეს საქმეს. ამიტომაა, რომ კომბინატის 440-მდე მუშა-მოსამსახურიდან მხოლოდ 130-ია საზოგადოების წევრი და საწევროს მათ შორის მცირე ნაწილი იხდის.

სამიოდე წლის წინ კარგი ტრადიციები ჰქონდა კომბინატის ფიზკულტურულ კოლექტივს. კომბინატის ფეხბურთელთა და ფრენბურთელთა გუნდები წარმატებით გამოდიოდნენ სარაიონო და „პიშჩევიკის" რესპუბლიკური საბჭოს შეჯიბრებებზე. 1948-1950 წლებში კარგი მუშაობისათვის კოლექტივს 13 სიგელი და დიპლომი აქვს მიღებული. თუ ადრე აქ სისტემატურად მუშაობდა ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობის, ძალოსნობისა და სხვა სექციები, დღეისათვის მხოლოდ ჭადრაკის და მაგიდის ჩოგბურთის სექციები არსებობენ და ისინიც სეზონურად, ყოველგვარი გეგმის გარეშე მუშაობენ. აქ ისიც კი არ იციან ვინაა ჭადრაკის ან მაგიდის ჩოგბურთის სექციის წევრები. გულდაწყვეტილი არიან ფრენბურთელები, რადგან მათი მოედანი, რომელიც ერთ დროს კეთილმოწყობილ ბაზას წარმოადგენდა, ახლა სრულიად უვარგისია ვარჯიშისათვის. ფეხბურთის ყოფილ მოედანზე ამჟამად საწყობის მშენებლობა მიმდინარეობს, სამაგიერო ნაკვეთის გამოყოფაზე კი დღემდე არავის უზრუნია. ფიზკულტურული კოლექტივი განიცდის აგრეთვე სპორტინვენტარის ნაკლებობას.

ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ აქ არ შესრულებულა მშთ ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების 1952 წლის გეგმა. მშთ II საფეხურის 6 ნიშნოსანის ნაცვლად მომზადდა 1, კომბინატში ხელზე ჩამოსათვლელია მეორე და მესამე თანრიგოსნებიც.

უფრო მეტიც. 1953 წლის გეგმების შესრულებისათვის აქ დღემდე არაფერი გაკეთებულა. ძირეული საბჭოს თავმჯდომარე თავს იმით იმართლებს, რომ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რაიონული კომიტეტი და „პიშჩევიკის" რესპუბლიკური საბჭო არავითარ დახმარებას არ უწევს მას.

ო. გელაშვილი

ამანათით სარეკორდო დროში

19 ივლისს ბათუმის „დინამოს" სტადიონზე ფიზკულტურელის საკავშირო დღის აღსანიშნავად მოეწყო შეჯიბრება მძლეოსნობაში, რომლის პროგრამაში იყო რბენა სხვადასხვა მანძილზე, ბადროსა და შუბის ტყორცნა, ხტომები.

სამხტომში პირველი ადგილი დაიკავა ქუთაისელმა ლაღიძემ. მისი შედეგია 12 მეტრი და 64 სანტიმეტრი. თბილისელმა ბაქრაძემ გაიმარჯვა ბადროს ტყორცნაში, ხოლო კოლესნიკოვმა — შუბის ტყორცნაში.

საინტერესოდ ჩატარდა ჭაბუკთა ამანათრბენი 4×200 მეტრზე. დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა ბათუმის ნორჩ მძლეოსანთა კოლექტივმა. გამარჯვებულთა შედეგი 1 წუთი 37,4 წამი ახალი რესპუბლიკური რეკორდია ჭაბუკთა შორის (ძველი რეკორდი იყო 1:39,7). გუნდის შემადგენლობაში იყვნენ კრული, მამუჩაძე, ფილიევი და აბაჯიდი. გუნდის მწვრთნელია ი. ბეზროდნი.

ე. ბაგუა

* * *

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): აბაჯიდი, ფილიევი, მამუჩაძე და კრული.

ფელეტონი

მაყურებელი რა შუაშია?..

ის კალენდარული მატჩი ფეხბურთში საქართველოს პირველობაზე მესამე ჯგუფის გუნდებს შორის ჩვეულებრივად დაიწყო. ისე, როგორც წესი და რიგია. მსაჯმა მ. კალანდაძემ შეავსო შეჯიბრების ოქმი — პირველ გვერდზე გარკვევით ჩაწერა: „ლოკომოტივი“ (გურჯაანი) — „სპარტაკი“ (თელავი), 12 ივლისი, დასაწყისი 18.00 საათზე, ტემპერატურა + 30 გრადუსი ცელსიუსით, ამინდი — მზიანი.

დაწესებულ დროზე კალანდაძე თავისი თანაშემწეებით (ა. ნათლიაშვილი და გ. ფურცელაძე) გამოვიდნენ მოედანზე. გამოვიდნენ გუნდებიც. თამაში დაიწყო.

გასაკვირი და არაჩვეულებრივი არაფერი მომხდარა, ფეხბურთელები თამაშობდნენ ისე, როგორც შეეფერება მესამე ჯგუფის გუნდების წევრებს — დარბოდნენ, ერთმანეთს გადასცემდნენ ბურთს, კარში ურტყამდნენ, კუთხურს აწოდებდნენ, თავით თამაშობდნენ. მართალია, ხშირად (ჩვენს შორის დარჩეს და საკმაოდ ხშირადაც) რბენაც უაზრო ჰქონდათ, გადაცემაც არ იყო ზუსტი, კარში დარტყმას კართან საქმე არა ჰქონდა, კუთხურიც „აუტში“ მიფრინავდა, მაგრამ, რას იზამ, გურჯაანელები და თელაველები კი არა ოსტატებიც ზოგჯერ ასე თამაშობენ.

გასაკვირი და არაჩვეულებრივი არაფერი მომხდარა. მხოლოდ თელაველმა ვ. ისაკოვმა (№8) ორჯერ მიიღო გაფრთხილება მსაჯთან შეკამათებისათვის. ეს იყო და ეს. ასეთი რამე ხდება ფეხბურთში:

ტაიმი თავდებოდა. „ლოკომოტივის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა გ. გოგიტაძემ მიიღო გადაცემა, შეათვალიერა მოედანი, სწრაფად გაიჭრა წინ, მოატყუა „სპარტაკის“ მარჯვენა მცველი შ. ფეიქრიშვილი, გავიდა კართან და ძლიერად დაარტყა. ბურთი ასცდა კარს.

ამაზე წყდება ფეხბურთის აღწერა და იწყება კრივის რეცენზია. „სპარტაკის“ მარჯვენა მცველმა ჯერ თვალი გააყოლა ბურთს, მერე კრივის დისტანციის დაცვის სრული წესით (მცველებს კარგი დისტანციური ალღო აქვთ) მიუახლოვდა „ლოკომოტივის“ ცენტრალურ თავდამსხმელს და ერთი ლაზათიანი სილა აჭამა.

„თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო“.

გოგიტაძემ გმირულად გაუძლო ამ სილას, მოკრივის კლასიკური პოზიცია მიიღო და სამაგიეროდ მოწინააღმდეგეს ზორბა მუშტი „დააკერა“ სახეზე.

ატყდა აურ-ზაური. მაყურებლები წამოიშალნენ ტრიბუნებზე, ფეხბურთელებს (ბოდიში, მოკრივეებს) გვერდითი მსაჯებიც მისცვივდნენ.

გოგიტაძემ კრივის წესებით გაუთვალისწინებელი საბრძოლო ინვენტარი შეიმატა — გვერდით მსაჯს დროშა ხელიდან გამოსტაცა და მისი ტარი ზედ თავზე გადაალეწა ფეიქრიშვილს.

თელაველთა მეკარემ ი. მუნჯიშვილმა კარის სიახლოვეს სახიფათო მომენტი შეამჩნია, სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება, თამამად გამოვიდა წინ, ეცა გოგიტაძეს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოუქნია და „ცოტა ხნით“ ნოკაუტში გაგზავნა.

ხულიგნები მსაჯმა მოედნიდან გააძევა.

თელავის „სპარტაკში“ დარჩა 9 კაცი, გურჯაანის „ლოკომოტივში“ — 10 და თელაველებმა მეორე ტაიმში ფეხბურთის ტაქტიკაში ჯერ უცნობი, ახალი ვარიანტი გამოიყენეს — გუნდი ფაქტიურად არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა შეტოქეს და ბურთები პანტასავით ცვიოდა მათ კარში. პირველ ტაიმში ანგარიში იყო 2:1 „სპარტაკის“ სასარგებლოდ, მეორე მოიგო „ლოკომოტივმა“ — 7:0. სულ 8:2.

ფეხბურთის მატჩის დოკუმენტაცია, ჩვეულებრივ, მხოლოდ ოქმით ამოიწურება. ამ შეხვედრის გარშემო კი მთელი „საქმეა“ შედგენილი. აქაა პროტესტები, ახსნა-განმარტებანი, მაყურებელთა წერილები. მაგრამ ყველაზე საყურადღებოა გურჯაანის რაისაავადმყოფოს მორიგე ექიმის ცნობა იმის შესახებ, რომ შ. ფეიქრიშვილს საღამოს 8 საათზე აღმოაჩნდა „თავის კეფის მიდამოში ხუთი სანტიმეტრის სიგრძის კანის დაჟეჟილობა, რომელიც მიეკუთვნება მსუბუქ კატეგორიას“.

დაჟეჟილობა შეიძლება მსუბუქი კატეგორიისაა, ექიმს ამაში ვეთანხმებით, მაგრამ ეს ინციდენტი კი მძიმე, მეტად მძიმე კატეგორიისაა.

დამნაშავენი დაისაჯნენ. ფეხბურთის რესპუბლიკური სექციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ფეიქრიშვილს, გოგიტაძესა და მუნჯიშვილს თითო წლით მიეცათ დისკვალიფიკაცია, გუნდის კაპიტნები შ. სესიკაშვილი („სპარტაკი“) და ს. აბაზოვი („ლოკომოტივი“) მოხსნილი არიან. სასჯელს მიიღებს „სპარტაკის“ თელავის რაისაბჭოს თავმჯდომარე დ. დარჩიაშვილიც, რომელიც გუნდში წესრიგის დამყარების ნაცვლად პროტესტების წერითაა გართული.

საქმე ამაში არაა. დამნაშავის დასჯა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ძნელი არაა. საკითხავი ესაა — საიდან აქვთ საბჭოთა სპორტსმენისათვის ეს უცხო ჩვევები ამ ახალგაზრდებს? ნუთუ ფეიქრიშვილი, გოგიტაძე და მუნჯიშვილი ასეთი გადაგვარებული არიან ყოველდღიურ ცხოვრებაში? თუ ასეა — რა უნდათ მათ ფეხბურთის მოედანზე?

სირცხვილია, ამხანაგო ფეხბურთელებო. მატჩს ფეხბურთში ყოველთვის დიდი ინტერესით ელიან მაყურებლები, ხალისით მოდიან თქვენი თამაშის საყურებლად, მათ შორის არიან თქვენი მშობლები, და-ძმები, ამხანაგები, მეზობლები. განა ასეთი „ვაჟკაცობა“ უნდა აჩვენოთ მათ? რას ერჩით მაყურებელს. იგი ფეხბურთის სანახავად მოდის, ხედავს კი დებოშს, ცემა-ტყეპას. მილიციის სასტვენი ფეხბურთის მოედანზე რატომ უნდა უერთდებოდეს მსაჯის სასტვენს?

დათვურ დახმარებას გიწევენ თქვენ დარჩიაშვილის მაგვარი ვაი-ხელმძღვანელები. პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის სწორად დაყენების ნაცვლად ისინი უსაფუძვლო პროტესტების წერაზე კარგავენ დროს.

ჩვენ გვსურს, გვწადია და გვჯერა, რომ ამგვარი საქციელი მოედანზე აღარ გამეორდება. გოგიტაძეები, ფეიქრიშვილები და მუნჯიშვილები სახელს უტეხენ საბჭოთა სპორტს. გახურებული შანთით უნდა ამოვკვეთოთ, დავგმოთ მათი უმგვანო საქციელი.

რ. ქორიძე



ბათუმელ ახალგაზრდებს უყვართ საწყლოსნო სპორტი. იალქნიანი, ნიჩბიანი ნავებითა და ბაიდარებით სისტემატურად ეწყობა შეჯიბრებები.

სურათზე: გოგონები ამზადებენ ბაიდარს საწვრთნელი ვარჯიშისათვის.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასი

მდგომარეობა 26 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ მ.	15	7	5	3	28:13	19
„სპარტაკი“ მ.	13	6	6	1	34:12	18
„ზენიტი“ ლ.	14	8	1	5	15:14	17
„დინამო“ თბ.	13	6	4	3	21:16	16
„ლოკომოტივი“ მ.	15	6	4	5	19:18	16
„ლოკომოტივი“ ხ.	16	6	4	6	17:18	16
„ტორპედო“	14	6	2	6	20:31	14
„ზენიტი“ კბ.	13	5	3	5	13:14	13
„დინამო“ ლ.	15	4	3	8	17:23	11
„დინამო“ კ.	13	3	3	7	13:18	9
„სპარტაკი“ ვ.	15	1	5	9	6:26	7

ოსტატთა კალენდარული შეხვედრები

„ზენიტი“ (კუიბიშევი) — „დინამო“ (ლენინგრადი)

მორიგი კალენდარული მატჩი გაიმართა კუიბიშევში. ადგილობრივი „ზენიტი“ შეხვდა ლენინგრადის „დინამოს“. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა.

„სპარტაკი“ (ვილნიუსი) — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი)

გათამაშების მე-15 ტურში ვილნიუსის „სპარტაკმა“ თავის მოედანზე მიიღო ხარკოვის „ლოკომოტივის“ გუნდი. რკინიგზელებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხეს მოწინააღმდეგე.

დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და თბილისის „დინამოს“ დუბლიორთა შეხვედრა. მატჩი მოიგეს მოსკოველებმა — 2:1.

საჭიდაო ხალიჩაზე

შეჯიბრებაში მოზარდ სპორტსმენთა შორის კლასიკურ ჭიდაობაში, რომელიც 2-5 ივლისს ჩატარდა თბილისში, მონაწილეობდნენ აჭარის, აფხაზეთის, თბილისის, ქუთაისის, ონის, საგარეჯოსა და ჭიათურის გუნდები.

უმჩატესი წონის მოჭიდავეთა შეხვედრაში, რომელიც საინტერესოდ ჩატარდა, პირველი ადგილი მოიპოვა თბილისელმა გ. გრძელიშვილმა. მჩატე წონის მოჭიდავეებიდან გაიმარჯვა ვ. როსტიაშვილმა.

თბილისელმა ბ. ბიბილაშვილმა რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა ქვემსუბუქ წონის მოჭიდავეთა შორის.

დაძაბული ბრძოლებით აღინიშნა მსუბუქი წონის მოჭიდავეთა შეჯიბრება, რომელშიც პირველობა ა. ქორიძემ (თბილისი) მოიპოვა, მეორე ადგილზეა ქუთაისელი გ. ასათიანი.

ქვესაშუალო წონაში I და II ადგილი დაიკავეს თბილისის გუნდის წევრებმა ო. ვალიევმა და ე. რევიამ.

საშუალო წონის მოჭიდავეებიდან ყველას აჯობა თბილისელმა დ. დავლიანიძემ, რომელმაც ადვილად სძლია მოწინააღმდეგეებს.

ქვემძიმე წონაში პირველი ადგილი მოიპოვა მზარდმა მოჭიდავემ ონელმა მოსწავლემ გ. გობეჯიშვილმა, მეორეზეა ქუთაისელი ქ. ჯინჯიხაძე.

მძიმე წონის მოჭიდავეებიდან დამსახურებული გამარჯვება და რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა ბათუმელმა რ. აბაშიძემ. საერთო პირველობა მოიპოვა თბილისის გუნდმა, მეორეზეა ბათუმის, მესამეზე — სუხუმის მოზარდი მოჭიდავეები.

ტრადიციული სპარტაკიადა

დამთავრდა თბილისის კალინინის რაიონის წარმოება-დაწესებულებათა ფიზკულტურული კოლექტივების III ტრადიციული სპარტაკიადა.

წინა წლებისაგან განსხვავებით წელს ასპარეზობა ტარდებოდა ერთ ჯგუფად, სადაც გაერთიანებული იყო რაიონის უძლიერესი ფიზკულტურული კოლექტივები.

საინტერესო ბრძოლების შემდეგ გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ „გრუზლემპიშჩეპრომპროექტის“ წარმომადგენლები.

ჭკადუაშის პიონერთა ბანაკში

ჭკადუაშის (ზუგდიდის რაიონი) მთის კალთებზე მოწყობილ პიონერთა ბანაკში ყოველ დილით გაისმის პიონერული საყვირის ხმა; რომელიც ბავშვებს ამცნობს დილის გამაჯანსაღებელი ვარჯიშის დაწყებას.

ნორჩი დამსვენებლები ჩაბმული არიან ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის სექციებში. წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით ეწყობა სპორტული შეჯიბრებები, ტურნირი ჭადრაკსა და შაშში, ლაშქრობები.

სპორტის ისტორიიდან

მარათონული ცურვა

მარათონულ ცურვას, ისე როგორც მარათონულ რბენას, მეტად ხანგრძლივი, საინტერესო ისტორია აქვს.

პირველი შორეული გაცურვა სპორტული მიზნით მოახდინა დიდმა ინგლისელმა პოეტმა ბაირონმა. მიუხედავად სიკოჭლისა, იგი შესანიშნავი მოცურავე იყო. 1810 წლის 3 მაისს მან გადასცურა დარდანელი სესტოსიდან აბიდოსში. მანძილი დაახლოებით 6 კილომეტრს უდრიდა.

სამოცდაათ წელზე მეტი ხნის ტრადიციის მქონე საერთაშორისო კლასიკური ტრასაა ლამანშის სრუტე. პირველად 1875 წლის 25 აგვისტოს დუვრიდან კალეს მიმართულებით იგი გადასცურა ინგლისის სავაჭრო გემის კაპიტანმა მატიუ ვებმა. 32 კილომეტრი მან დაფარა 21 საათსა და 45 წუთში. მას შემდეგ მრავალი ქვეყნის ასობით მოცურავემ სცადა დაეძლია სრუტე, მაგრამ ზღვის ძლიერმა დინებამ და ცივმა წყალმა ბევრჯერ დაამარცხა სპორტსმენთა ძალა და ნებისყოფა. 75 წლის განმავლობაში ლამანშზე გამარჯვებას მიაღწია მხოლოდ 25 მოცურავემ. მათ შორის იყო ერთადერთი ქალი — ცნობილი ამერიკელი მოცურავე ჰერტრუდა ედერლე.

შორეული გაცურვები ეწყობოდა აგრეთვე სხვა ადგილებში: კუნძულ მანჰეტენის (ნიუ-იორკი) ირგვლივ, ტბა ონტარიოზე (ჩრდილოეთი ამერიკა), პალესტინაში — ტივერიადის ტბაზე და ა. შ.

უცხოეთში მარათონული ცურვა სენსაციისა და ფულის მოგების წყაროდ გადაიქცა, რასაც რასაკვირველია არაფერი საერთო არა აქვს სპორტთან. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მაგალითი: გერმანელ მოცურავე ქალს რუტ ლიტციგს სურდა დაემყარებინა 100 საათიანი ცურვის რეკორდი. 79 საათს წყალში ყოფნის შემდეგ იგი გარდაიცვალა.

რევოლუციამდელ რუსეთში მოეწყო მხოლოდ ერთი მარათონული გაცურვა. ბაქოს გიმნაზიის მასწავლებელმა ლ. ა. რომეიკომ 1912 წლის 23 ივლისს ქარიშხლიან ამინდში კასპიის ზღვაზე 24 საათსა და 10 წუთში 48 კილომეტრი გაცურა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ცურვა გახდა სპორტის მასობრივი სახეობა, ფართო გავრცელება ჰპოვა შორეულმა გაცურვებმა. ახლა ჩვენს სპორტსმენთა შორის არის ათობით მოცურავე, რომელიც უჩვენებს საერთაშორისო კლასის შედეგებს. 1936 წელს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. კუზნეცოვმა შავ ზღვაზე გაცურა 60-ზე კილომეტრი და წყალში დაჰყო 28 საათზე მეტი. სპორტის ოსტატს ბ. დევიატოვს 24 საათი და 36 წუთი დასჭირდა, რათა ქარიშხლიან ამინდში, გაეცურა 50 კილომეტრი. საბჭოთა მოცურავე ქალებს შორის, როგორც მანძილის, ისე სისწრაფის მხრივ, შესანიშნავი შედეგები უჩვენა ევგენია ეტროვამ, რომელმაც 1946 წელს 15 კილომეტრი 4 საათსა და 58 წუთში დაფარა.

განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია მარათონულ ცურვაში ცნობილმა საბჭოთა მოცურავემ ისკანდერ ფაიზულინმა. მან მდინარე დონზე 17 საათში, 54 წუთსა და 47 წამში 100 კილომეტრი გაცურა და [illegible] რეკორდი — 72 კილომეტრი.

მარათონული ცურვა სპორტის ერთ-ერთი ყველაზე ძნელი სახეობაა. იგი სპორტსმენის ორგანიზმს განსაკუთრებით მაღალ მოთხოვნებს უყენებს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა დაკვირვების შედეგად შემდეგი გამოირკვა: შავ ზღვაზე სარეკორდო გაცურვისას ევგენია ეტროვას გული ყოველ შეკუმშვაზე გამოდევნიდა ერთ ჭიქა სისხლს, რაც საათში დაახლოებით 840 ლიტრს შეადგენს, ხოლო ცურვის მთელ მანძილზე 7.500 ლიტრს მიაღწია.

ამ ფენომენალურ გამძლეობას მოცურავეები აღწევენ ხანგრძლივი სპეციალური წვრთნითა და სპორტის სხვა სახეობებში რეგულარული მეცადინეობით.

დიდი სამამულო ომის წლებმა ცხადყვეს, რომ ცურვას, განსაკუთრებით კი მარათონულ ცურვას, აქვს არა მარტო სპორტული, არამედ დიდი სამხედრო-გამოყენებითი მნიშვნელობაც.

გმირობა ჩაიდინა ლენინგრადელმა მოცურავემ II სტატიის ზღვაოსანმა ნიკიშინმა. დაზიანებული იქნა წყალქვეშა ნავი, რომელზედაც იგი მსახურობდა. ზღვის ზედაპირზე [illegible] სატორპედო აპარატიდან ამოაგდეს. ორიენტირებად ვარსკვლავების გამოყენებით მან გასცურა 15-მდე კილომეტრი, მიაღწია ნაპირს და მოახსენა სარდლობას მომხდარი ამბის შესახებ. წყალქვეშა ნავი და მისი ეკიპაჟი გადაარჩინეს.

კომკავშირელმა პეტრე გოლუბევმა, ასრულებდა რა პასუხსაგებ საბრძოლო დავალებას, კროლის სტილით 9 საათზე ნაკლებ დროში წარმატებით გასცურა 20 კილომეტრი.

ჩვენში ფართოდ ინერგება მარათონული ცურვა, რადგან სპორტის ეს ერთ-ერთი უძნელესი და მასობრივი სახეობა სპორტსმენს სძენს გამძლეობას, გამბედაობას, შეუპოვრობას — თვისებებს, რომლებიც ესოდენ აუცილებელია ყველა ფიზკულტურელისა და ჯანსაღი ადამიანისათვის.

რედაქტორი ი. უზულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, [illegible] № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომცემის — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ № 14. უე 03468